ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3782891

ნომერი: AR1569956

თარიღი : 11.01.2018

გაცემის თარიღი : 18.01.2018

გაცნობის თარიღი : 18.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზ. N34გ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მოსიძე პ/ნ 35001001875
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 44 ბ. 38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

2018 წლის 11 იანვრის #AR1569956 განცხადებაზე საკითხი დაყენებული გაქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობის კუთხით. ამავდროულად სამსახურში ფიქსირდება 2018 წლის 15 იანვრის განხილვის პროცესში მყოფი #AR1570444 განცხადება , რეკონსტრუქციის შეთანხმებული პროექტის ცვლილებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და წარმოადგენს მშენებარე ობიექტს, შესაბამისად ცალკე პანდუსის მოწყობას სამსახური პირველი კლასის კუთხით ვერ განიხილავს, შესაძლებელია აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებულ იქნას #AR1570444 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.